

Ընթացիկ  
 Երկրի Բնակչության  
 Կրճատում: 1908 թվ.

1. Երկրի
2. Բնակչության
3. Կրճատում

Կրճատում Երկրի Բնակչության  
 (Բնակչության Կրճատում) (5)



- 1. გა. ბუგაძე "ბრძოლა" № 9.
- 2. გა. ბუგაძე "ბრძოლა" № 9.
- 3. გა. ბუგაძე "ბრძოლა" № 9.

წილი გა. ბუგაძე (3000)  
 № 14, 15, 16, 17, 18, 19, 20.  
 " ბრძოლა" № 4, 5, 10  
 № 3. ბრძოლა ბრძოლა

უკვე № 16.

- 1) სამაგონ
- 2) ბაბონ ბაბონ
- 3) ბაბონ ბაბონ.

ბიზნისი


ბიზნისი (3000)  
 " ბრძოლა" № 18, 19, 20, 21.  
 " ბრძოლა" № 10, 20

1. ბიზნისი № 1, 2, 10  
 2. ბიზნისი № 15  
 3. ბიზნისი № 314  
 4. ბიზნისი № 338  
 5. ბიზნისი № 19

1. ბიზნისი № 10, 15, 20  
 2. ბიზნისი № 10, 15, 20

ბიზნისი (3000) ბიზნისი № 1.  
ბიზნისი (3000) ბიზნისი № 1.  
ბიზნისი (3000) ბიზნისი № 1.

ი. შიშველი



# ყოველკვირეული საზოლიტეო, სამეცნიერო და სალიტ. კურნალი

№ 1 11 მაისი 1908 წ. ფასი 10 კ.

**შინაარსი:** რედაქციისაზანი.—დღევანდელი ვითარება, ონ-სა, პირველი ტალა, (ლექსი) ლანდისა, როგორ გააჩინა აღმინმა, ღმერთი, გამორეოდისა,—სხვადა სხვა ამბები ჩვენში და რუსეთში.—სახელმწიფო ღუმა.—კურნალ-ვახუშებიდან.—ლექსი... სამშელისა.—ქეთო სურათი (ფაბრიკის ცხოვრებიდან). პუე ხილსთაველისა—მუშათა შორის.—უცხოეთი.—ბიბლიოგრაფია.—ვანცხალები.

## რედაქციისაზანი.

მას შემდეგ, რაც ჩვენს სახელმწიფოში დამყარდა „კონსტიტუცია“, კურნალ-ვახუშობამ დაივიწყა ერთი ძველი—მაგრამ მეტათ მოსაწონი—ჩვეულება, რომლის მიხედვით, ყოველი ახალი პერიოდული გამოცემა ქვეყნათ გამოცემის უმაღლეს ცალკე, საპროგრამო წერილით მკითხველ საზოგადოებას ამცნებდა ხოლმე თავის დინამიას. ამ ჩვეულების გადადგება გამოიწვია ისეთმა საპატიო გარემო მახუშებმა, რასაც თითქმის ვერც ერთი პროგრესული ორგანო ვერ გაეცქევა. ამიტომ ჩვენ აქ აზრათ არა ვაგაქვს ასეთი საპროგრამო წერილი. ჩვენ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ ორიოდ წინასწარ მოსაზრებას, რითაც გვინდა მკითხველი მივახედროთ ამ ორგანოს დანიშნულებას.

თქმა არ უნდა, რომ ჩვენ ვაღდევით მტკიცეთ განსაზღვრულ სოციალ-პოლიტიკურ მიმართულებას. ეს სხვათა შორის იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებისაგან წი-მოყენებულ ყოველ საკითხ-პრობლას სავსეს, ყოველ საყურადღებო მოვლენას ჩვენ გავცემთ მაკაფიო, გარკვეულ და გადაჭრულ პასუხს; რასაკვირველია, რამდენადც კი ეს შესაძლებელი იქნება პრესის დღევანდელ პირობებში. ამ უკანასკნელ ვაგონების მხრივ ჩვენი მდგომარეობა

რეობა ისევეა, როგორც ყველა პროგრესულ გამოცემათა, მაგრამ იმ განსხვავებით კი, რომ ყოველგვარი შევიწროება ჩვენთვის სხვაზე უფრო საჭირობელი იქნება, რადგან ჩვენთვის უფრო მეტი თავისუფლება, მეტი ასპარეზი საჭირო, ვიდრე შეძლებულ და გაბატონებულ კლასთა ინტერესების გამომახტველ ორგანოებისათვის.

ჩვენ ვაღდევით მტკიცეთ განსაზღვრულ სოციალ-პოლიტიკურ მიმართულებას. ეს მოსაწვევებს იმასაც, რომ ჩვენ უქვევლათ ანგარიშს გაუწევთ ყველა სხვა, მოწინააღმდეგე მიმართულებათ. ჩვენ ამათ არა ერთხელ და ორჯერ შევეხდებით პირისპირ, არა ერთხელ და ორჯერ მოვეხდებით მათთან შეტაკება. მაგრამ შეტაკებას და კამათს ვერ ავცდებით თვით ჩვენი მიმართულების მიმდევრებთანაც. არავითარი აზრი, არავითარი დებულება, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს მარჯვნიდან თუ მარცხნიდან—არ იქნება ჩვენთვის ხელშეუხებელი. ყველაფერს ვავატარებთ კრიტიკის ქარცეცხლში. ჩვენ წინ გადაშლილი უნდა იყოს თავისუფალი კრიტიკის ფართე ასპარეზი. მხოლოდ ასეთი გზით იქნება წინსვლოვანობა და განვითარება, რადგან მხოლოდ „აზრთა“ შეტაკებით წარმოდინდების ქეშპირიტება“. ჩვენ შეურობებელი მტერი ვართ იმ ხელოვნურ პირობების, რომელნიც ჰქმნიან ერთგვარ იდეურ მომანტერს, რომლის ხელუდობა

შორის ჰქენება შემოქმედებითი ნიჭი, კვდება თავისუფალი აზრი და გაბედული ინიციატივა. ერთის სიტყვით, ჩვენ ვდგევართ კრიტიკის წინააღმდეგ, ჩვენი სამიჯგობრა (მეტრე რევიური რესპუბლიკა და დღევინათა გეაქეს: „mehr Licht!“ (მეტრე სინათლე)!

კარგათ გვესმის, რომ ჩვენი ასეთი პოზიცია ძალიან არ მოეწონებათ იმ პირებს, რომელთაც საბოლოოთ შეუხსისხლბორცებით აზროვნების „ძველი ფორმები“ და მოქმედების ძველი წეს-რიგი. ეს პირინჩენს წინააღმდეგ მთლიანდებლად ამხედრდებიან კიდევ, რადგან თავის მდგომარეობასა და გველენას ამყარებენ სწორეთ იმ დღევქტებზე (ნაკლულებზე), რაც გვიანდრძა სახელმწიფოს ჭეკლმა რეჟიმმა, ბიუროკრატიულმა თვითშყრობებლობამ. დასახლებულ დღევქტების თაჲლიან მოშორება აუცილენებთ პარობაჲს ყუველივე კოლგობლიურ მოქმობის საწარმობლათ და საზოგადოებრ-პოლიტიკური მოქმედების განსავითარებლათ. მართლთა, ამ დღევქტების თაჲლიან მოშორება არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც შეიძლებოდა გვეგონოს პირველი შეხედვით; ჩვენ ეიმუაფებთ გარდამავალ ხანაში, როცა ჯერ კიდევ ასე სასტიკათ ძველი ცოცხალს ებღალეება; როცა სახელმწიფოში ჯერ არ დამყარებულა ის მოქალაქობრივი და პოლიტიკური პირობები, რაც პოლიტიკურ მოღვეწეობას აყენებს ნორმალურ კალაპატში და შეგნებულ მეშუათა მისსასაც სრულ საშუალებებს აძლევს თვისი პარტიული ცხოვრება საკუთარ ხელშივე აიღოს და თვითვე გახდეს თავის სვე-მედის გამომქვლი. მარა დღევინვე უკვე შესაძლებელია ამ ახალ წყობილების შემშადება და დაახლოვება. ჩვენც სწორეთ აქეთ მიგმართათ ჩვენს ძალდონეს.

ჩვენ კამათი მოგვიხდება სხვა საკითხების შესახებაც... ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდებიან ისინი, ვინც ერთ ჭიკაჩინში ახდენენ მთელ ქარიშხალს და გახეპირებულ ფორმულებით და რეგულიციონურ ფრაგოლოკით უზარმაზარ სახელმწიფოში აკეთებენ რევილიციას. ამხედრდებიან ისენიც, რომელნიც, თუ გულში პირიდან არ იშორებდნენ პროლეტარიატის მიერ დღევინდელ რეგულიციასში მეთათრობა-ხელმძღვანელობას და პროლეტარიატის პარტიის ჰეგემონიას, სამაგეროთ, დღეს მშათ არიან თვით „ბუნებისა და ისტორიის კანონების“ სახელით ჩაიყურჭულაჲთ იმ ოპორტიუნუზმის აყაყებულ ტბორეში, რაც, უკეთეს შემთხვევაში შეიძლება იყოს აგრე წოდებულ „რეგიზონიზმში“, რუსეთისთვის, იმ კამათ მაინც, სრულიად უნადავო.

დასასრულთ, ჩვენ მთელი მნიშვნელობით წაოვავენებთ შესასწავლათ და გადასატრელათ იმ საკითხს, რომელიც მეშუათ პარტიაში დღემდის ერთიანთ დარღვილული და გვერდზე მიგდებული იყო. ჩვენ ვამბობთ ნაიკონალურ პარლემენტზე, ეს პრობლემა თითა იმ პარტიის ცხოვრებაში უკვე დღემნიშვნელოვანი და საკირობოტროცა საკითხი არის. ეს პრობლემა აქ ჩვენში დღემდე თითქმის სრულიად შეუსწავლელია და, რა თქმა

უნდა, მისი გადაჭრაც პარტიის მიერ ვერ იქნებოდა სათანადო. დროა ეს დღევქტიც თავიდან მოგეშოროთ და მით უსრუნველ-გყოთ მეშუათა საქმის ზრდა-განვითარება და ძღვევა-პოზილება.



ა ლ ე კ ა ნ დ ე ლ ი ვ ი თ ა ნ ო ბ ე ბ ა .

ჩვენი ქვეყნისა და მთელი იმპერიის თავდასავალი ამ უკანასკნელ წლებში ერთობ არა ჩვეულებრივია და პირველი შეხედვით მეტათ უკანაური. აქ ერთმანეთს მ-სდევს და ერთაჲ ახსებობს ისეთი ერთი მეორის საწინააღმდეგო მოღვენანი, თითქმის ესენი სრულიად სხვა და სხვა საუკუნეობის ცხოვრებლან იყოს ამოგლეჯილი და ძალით ერთმანეთზე მიწებებულნი. მთელი ეს თავდასავალი მოვწენება, სისმარი გვეგონებოდა, გული რომ დაჭრბოს-დასერილი არ იყოს იმ ვაბებით, რომელიც ჩვენ თავს დავავატყდა ამ დროს განმეღობაში, გონება რომ შეზოქვლილი არ იყოს იმ სამკედრო სასიკოცხლო საკითხებით, რომელიც ამავე დროს ვადაგვეშლია თვალწინ მათეოას სიღლიობას და ტრაგისმით.

ჯერ იყო და ეს თვალუწვდენელი იმპერია დამსგავსებოდა რაღაც მოჯადოებულ უდაბნოს, ხალხისაგან დაცარიელებულ ქვეყანას, სადაც მრავალ მილიონ ახსებათა გაუთავებებლ ქვენსა-გმინვას ბანს აძლევდა მზოლოთ ზარბმის რეკვა, „როზხისა“ და მუშტის ტრიალი. შემდეგ, თითქმის რაღაც განგებით ყველაფერი ვადაჭრალიდა და მონათა ბრბოს ნაცულები გამიჩნდა ხალხი, ამოჩაგებულნი, კეთილშობილი და გმირული მისწრაფებით, გამიჩნდა მთელი რაზმები აღამიანათა, რაველთაც მკერდს უტეგრებდა თვით უშაღლესი იღვალეზი მინა-ერთობის თანაწრობის; აღამიჩნდა, რომ ქვეყანას სწყურებია ზრდა-განვითარება, ადამიანური ცხოვრება. მაგრამ აი, ყველაფერი აირია და იმპერიას კვლავ ვადავფარა სამგლოვიარო შეგნენელი ძამა, პოლიტიკური ტრუმენებით ამას ასე გამოთქვენენ: იყო ბიუროკრატიული თვითშყრობებლობა (აბსოლიუტიზმი), აოვარდა რეგულიცია, მარა ეს ძლეულ იქმნა და გამარჯვებულნი დარაჲ რეაქცია. რას ნიშნავს ეს? ნამდელით არ იყო, რა მოხდა? რას ესწრაფდა ხალხი და რას მიღწია? რას წარმოადგენს დღევინდელი წყობილება?

როგორც მთელი რუსეთი უმთავრესათ მიწათ-მომქმედი ქვეყანაა. იცილი სახალხო და სახელმწიფო მეურნეობა დაყრდნობლია მაწათ-მოქმედებაზე. ამ უკანასკნელის დცეჟმას, სოფლის ვადატაკება-ღარბეჟამ, შევაჩერა დაჭრობა-მრეწველობაც და მთელი ქვეყანა მიიყენა დასაუბრეს უფსკრულამდე. მიხეზი ადგილობა ვასაკეზია. თანამედრევე მეურნეობის წარსამართავათ აუცილებლათ საკიროა ორი ძალა: ფული (კაპიტალი) და

კოდნა; რუსეთს არ დაურჩა არც ერთი და არც მეორე. და ეს, რასაკვირველია, ასეც უნდა ყოფილიყო. რუსეთი ჯერ კიდევ თითქოს ნაძვრათ ბარბაროსული ქვეყანა იყო, როცა ის ევროპის განვითარებულ, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს მიეტმანა. ამითან «ფეხმა გამოაწვამა» სწრაფთა წარმოშეა უშეცდეველი სახელმწიფო მანქანა ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის სახით. ამის რჩენა—შენახვა სრულებითაც არ შეესაბამებოდა ქვეყნის საწარმოო ძალების მდგომარეობას. ამიტომ მთავრობას არამც თუ არა ჰყოფნიდა «ნაციონალურ შრომიდან აპოლეზიური ფული, ის იძულებული იყო ძლიერმატიერათ უცხო სახელმწიფოებიდან ელო და ისივლიეტი, რომლის მარტა სარგებლის გადახდა აუტანლო ტერიტიათ აწებებოდა ისედაც ტყავამძვრალ ხალხს. რაც შეეხება კოდნას და განათლებას, ესეც აკმაღლური ხილი უნდა ყოფილიყო რუსეთისათვის, რადგან ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის აუცილებელი საყრდნობი სწორეთ ხალხის უშეცრებაა.

ამ რიგათ, შრომის განაყოფიერებას, საწარმოო ძალების აღორძინება—განვითარებას წინ ვადებომა სახელმწიფოს ძველი წეს-წყობილება. «ძველი რეჟიმის დედა იყო არა მარტო-გამგებობა, არამედ სისტემატიური ომი, ბრძოლა მთავრობისა საზოგადოების წინააღმდეგ, როდესაც ომობენ, როდესაც ხდება ქვეყნის დაპყრობა, ანუ იქ წესიერების დამყარება, როდესაც უფლებებისა და კანონის ნაცვლათ ბრძანებლობს განსაკუთრებული უფლება, უფლება ძლიერისა, აი სწორეთ აქედან და ამიტომ წარმოადგის ის დამოუბველი ლოზუნგი, რომ სა-მართლიანობის, უფლების და კანონის პრინციპებს შე-იძლება დავუბრძანებოთ სახელმწიფო საკირობოა\*», ე. ი. ძველი რეჟიმის საკიროება, ე. ი. ბიუროკრატიის კუქისა და ჯ ბის ინტერესები. სახელმწიფოს საშინელ კრიზისის თვიდან ასაცლებლათ საკირო იყო ამ რეჟიმის მოსპობა, საკირო იყო ქვეყნის მარტო-გამგებობა ვადსაცემოდა თვით ხალხს და თვითნებობა-ძლი-მომრეობის ნაცვლათ გამეფებულიყო უფლება და კანონი; საკირო იყო მოხსნა იმ ბორკილებისა, რომელიც დადებულთ ჰქონდა ადამიანისა და საზოგადოების ყვე-ლა სსიციცხლო ძალებს; პირადი თაოსნობის, საზო-გადოებრივ თვით-მოქმედების და საზოგადოებრივ შრო-მისა და წარმოების თუ კოდნა განათლების ასაღორძინებლათ და განსავითარებლათ საკირო იყო სიციცხლის გზა გახსნოდა პიროვნების და საზოგადოების შემოქ-მედ ძალებს; ბორკილები უნდა მოხსნოდა ადამიანის სინდისის, აზრისა და გრძნობას. საკირო იყო: ხელშეუ-ხებლობა პიროვნებისა და ბინისა, თავისუფლება სიუ-ყვისა, ბეჭედისა, კრებუისა, თავისუფლება კავშირებისა და სხ. ერთის სიტყვით, საკირო იყო «ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა» აღიარება, საკირო იყო

კონსტიტუციის დამყარება. აი ამას ესწრაფოდა განმა-თავისუფლებელი მოძრაობა.

**მერე რას მივადწიეთ?**

სახელმწიფოს დღევანდელ წყობილების დახასია-თება, იურიდიულ ტერმინებთ განსაზღვრა ერთობ ძნე-ლია. თვით კადეტების იურისტები დღევანდლამდე იშ-ველებენ ცნობილ ალმანახის დახასიათებას: «რუსეთი არის კონსტიტუციონური მონარქია, რომელსაც გა-ნაგებს თვითმპყრობელი (შეუზღუდველი) მეფე» მარა, როგორც ზევიტს, ეს განმარტება შეიცავს შინაგან წი-ნაღმდებობას. ფორმულის პირველი ნახევარი უარ-ჰყოფს მეორეს და მეორე—პირველს... არსებულ მო-რთიადი კანონებით» სახელმწიფოს ძლი-უფლება გავი-არებულია მეფესა და ხალხს შორის. რაიმე კანონის გამოსაცემათ უსაათუთ საკიროა ორივე მხრის ნება-სურ-ვილის თანხმობა. მეფე ვერ გამოსცემს ვერაფერათ კანონს, თუ ეს მიღებული არ არის ხალხის წარმომადე-გენელთავან (რუს. დუმა და საბჭო); მაშასადამე რუსე-თი ყოფილა კონსტიტუციონური მონარქია. მაგრამ მე-ფემ უუფე გამოსცა კანონი (მაგ. ჰ ივენის) ისე, რომ ამაზე არც კი დაპოთხებთან ხალხის წარმომადგენელი. მაშასადამე რუსეთი კონსტიტუციონური კი არა, თვით-მპყრობელი მონარქია ყოფილა. შეიძლებოდა თქმული-ყო, რომ ჰ ივენის აქტი წარმოადგენდა სრულიად გან-საკუთრებულ მოვლენას, რომლის მსგავსი არასოდეს აღარ განმეორდება, მაგრამ მესამე დუმაში წაკითხულმა სტოლიპინის დეკლარაციამ შეგვაცუბოინა, რომ მსგავ-სი აქტი მოხდება ყოველთვის, როცა კი ამის მოით-ხოვს სახელმწიფოს საკიროება\*... მაშ იქნება რუ-სეთში არ შეცვლილა არაფერი და ძველი რეჟიმი კვლავინდებურათ დღევანდელს? მერე რალს ნიშნავს ტავრიდის სასახლეში გახსნილი სამზავგრო, სადაც იმ-პეროის ყველა კუთხიდან მისული კაცები თათბირობენ სხვა-და-სხვა კანონ-პროექტებზე, ადგენენ მთელი ქვეყ-ნისათვის სავალდებულო და სახელმძღვანელო წესებს, ერთი სიტყვით უყვიან საკანონმდებლო მუშობას? იქ პარ-ლამენტის სურათს აგვირგვინებს ის ვარებულება, რომ თუ ერთი ნაწილი დებულებებისა ტრუს უკრავს მთავ-რობას, სამავგეროთ მეფეც ამას სისტემათ და მოური-დებლათ ჰკიცხავს, ანუ დება რომელიმე სოციალ-დემოკ-რატი და მინისტრებს პირში ეუბნება მკვახეთ: «მთავრო-ბას ჩვენ არ მივცემთ და არც ვანდობთ არც ერთ კა-პუის, რადგან მთელი მისი მოქმედება მიმართულია ხალხის წინააღმდეგოა» და სხ. მაშ რუსეთისაც უუკე ჰქო-ნია კონსტიტუტია; ე. ი. უფლებრივი, კანონიერი წყო-ბილება! მაგრამ აი რას გვატყობინებს ცნობილი იუ-რისტი დებუტატი მაკლაკოვ: «რუსეთის უფლები ნა-წილის რეჟიმი არის დაკანონებული უკანონობა, ე. ი. რეჟიმი განსაკუთრებული (მდგომარეობათა?). ეს რეჟიმი შემოღებულია, როგორც საფუძველი, როგორც ნორმა სახელმწიფოს მართვა გამგებობის... რა საკიროა ჩამოე-თვლო ყველაფერი, რასაც «ოხრანს» (გადლიერებულ,

\* ჰეტრ. სააგენტოს დეკემბრიდან, დპ. მაკლაკოვის სიტყვა 29 აპრ. დუმის სხდომაზე.

განსაკუთრებულ და სხ. დაცვის წესების) საფუძველზე ახდენენ?.. სადაც თვითნებობაა, იქ უეჭველათ ბიროტ-მოქმედებაც არის. შეიძლება ითქვას, რომ გამოღიერებული დაცვის წესები არსებობს არა „კონპოლის“ წინააღმდეგ საბრძოლველათ, არამედ თითქოს იმისთვის, რომ შეძლება ჰქონდეთ კანონით დაარღვიონ ხოლმე კანონი, თითქოს იმისთვის, რომ აღადგინონ 17 ოქტომბერს არღვეული წეს-საზღოებისა\*\*). იქნება, როდესაც ადგილობრივ, სახელმწიფოს პერიფერიებზე დათარეშობს თვითნებობა, ძალმომრეობა და უკანონობა, იქნება ამ დროს ცენტრში, სახ. ღუმში მაინც არის გამყვებელი ახალი პრინციპები, კანონიერება, კონსტიტუცია? დიხ, ასე არისო, გვარწმუნებს იგივე მაკლაკოვი. ის ამბობს: „ახალი პრინციპები. უფლებრივი პრინციპები, წარმოადგენლობითი მართვა—გამგეობა, ყველა ეს გაწვევებული მხოლოდ ცენტრში. დიხ ტაბრილის სასახლეში ჩვენ თავს ვგრძობთ ახალ პირობებში, აქ ვხვდებით, რომ შესაშუ სახელმწიფო ღუმში არ დაქარგვა თავისი უფლებანი, იგი სისტემატურათ აფართოებს მათ. ჩვენ საღამს ვაძლევთ მის ამგვარ მოქმედებას. ამას ჩვენ ვხვდებით აქ, ცენტრში. მარა ტაბრილის სასახლე წარმოადგენს რაღაც ექსტერიორიალურ საფულობელს (სახელმწიფოს სახელმწიფოში). ყველა ეს პრინციპები ჰქვია და ივიწყება რაწმასაც კი მისი კვლიდან გამოვლივართ გარეთ, ცხოვრებაში.“ თანახმით ამ უხედეულებისა, მაკლაკოვი აღიარებს, რომ დღევანდელ რუსეთის ძირითად წინააღმდეგობა, და მისთან ქვეყნის უპირველესი საშიშროება არის ის, რომ „სახელმწიფოს ფორმები (კონსტიტუცია-კანონიერება) და მართვა-გამგეობის წეს-რიგი (ადმინისტრატორების პირადი განსჯა-უკანონობა) არ შეესაბამებინ და უარყოფენ ერთი მეორეს,“ აქედან თავისთავად ცხადია, თუ რა საშვალებით შეიძლება ქვეყნის შევლა-ხსნა და სახელმწიფოს დღევანდელ კრიზისიდან გამოყვანა: „ჩვენი ადგილობრივი მთავრობანი (გენერალ-გუბერნატორები და სხვა ადმინისტრატორები)—განაგრძობს მაკლაკოვი—აღზღიდონ არიან სულ სხვაგვარ პრინციპებზე, საქრო არის მათი გარდაქმნა. იმათ ზაღდიან რკინის ხელმა უნდა უწყვიტოს, რომ ამიერიდან მართვა—გამგეობის სხვა წეს-რიგია“. ჩვენის აზრით, პატივეცემული იურისტები უმცლადარი არის. მის მიერ ნაწვენები გასაღები ვერ ხსნის „საიდუმლოებას“ და მისი საშვალებაც არ არის საკმაო.

**რას წარმოადგენენ სახელმწიფო მექანიზმის ცენტრები?**

უწინარეს ყოვლისა, ხაზ გასვით უნდა აღენიშნოთ, რომ წინააღმდეგობანი ჩაქსოვილია სახელმწიფოს მთელ სივრცეზე. თუ არის ისეთი კუთხეები, (მაკლაკოვის ჩვენებით ეს არის უფლებანი ნაწილი რუსეთისა), სადაც თვითნებობას და ძალმომრეობას ფარ-

თეთ დაუდგეს ტახტი, იპოვება ისეთი ადგილებიც, სადაც უფლება და კანონი შედარებით მაინც პატივდებულია. 17 ოქტომბრის შემდეგ ძველი ცენტურა საზოგადოთ გაუქმებულია, მარა არის ისეთი გენერალიზაცი, სადაც იგივე ძველი ანუ უარესი ცენტურა აღდგენილია. საერთოთ, ბევედით სიტყვა დღეს უფრო თავისუფალია, ვიდრე როდელი ყოფილა რუსეთში, მაგრამ, იმავ დროს, იგი ხელა ზოგჯერ განიცდის ხოლმე ისეთ სასჯელს, ისეთ რეპრესიებს, რომლის მსგავსი არ იცოდა თვით ძველმა რეჟიმმა. დღეს წინის მიაზიხებში ყველას შეუძლიან იციდოს ისეთი წინეაკები და სხვა და სხვა სოციალ-პოლიტიკურ ოინაარის თხზულებანი, რომელთა წაკითხვას 17 ოქტომბრის წინათ მარტო ნესტიან სარდაფებში ჰქედავდა ხოლმე თავგანწირული მუშა ან მასეთი თავგანწირული მიხივე მგვობარი ინტელიგენტი. მაგრამ ამასთანვე დღეს შეიძლება ციხეში აოკოთ თავი ისეთი წინისა, ანუ ხელ-ნაწე-რისათვის, რაც თვით არსებული კანონებითაც სრულიად არ შეიცავს არავითარ დანაშაულს. სწორათ ერთ და იმავ დანაშაულისათვის სხვადასხვა არის სასჯელი, ანუ ერთი გუბერნიიდან ახვეებენ მცხოვრებელს ამა თუ იმ დანაშაულობისათვის, ხოლო მეორე გუბერნიის ადმინისტრაცია იმავ გვარ დანაშაულობის ჩამდენს სასჯელს დაუთავებლად უკან აბიზობლოში და სხ. და სხ. ამ მაგალითების აღსანუსხავათ ამ ჟურნალის მთელი ნომერაც არ იქნებოდა საკმაო. ეს წინააღმდეგობანი საუტყულოთ თივულათ იქსოვება პერიფერიებში, მარა ესავე წინააღმდეგობანი აღწვევენ შუაგულამდე და გადადიან თვით სახელმწიფოს ცენტრებში; ხოლო ამ უკანასკნელში ჩვენ ვხვდებით იმნარის წითელ ძაფს, რომელიც გზას გავიცილევს წინააღმდეგობათა ლაბირინტაში და გვაბოვინებს სდ არის ძირი ამ ყვავილებისა.

სახელმწიფო მექანიზმის ცენტრებს შეადგენენ აღმასრულებელი ორგანო (მთავრობა—სამინისტრო), სამოსამართლო ორგანო (სასამართლოს დაწესებულებანი) და საკანონმდებლო ორგანო (სახ. ღუმე). დივიფიკით პრეველიან.

მთავრობისაგან არა ერთხელ ვესმენია, რომ იგი ბეჯითთ მოწოდებულთა რუსეთის განახლებას, ლიბერალურ რეფორმების გატარებას, მარა ამ საქმის განხორციელებას ის ვერ შესდგომია იმ მიზეზით, რომ რუსეთი ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა. ესეუ ვაიმეორა მთავრობამ შინაგან საქმეთა მინისტრის ამანავ მაკაროვის ბაგით პირველ მაისის სახელმწიფო ღუმის სხდომაზე, უჩენდა სამუშაოროთა—განაცხავა მან—არ შევიძლიან თქვენს წინაშე დავამოწმოთ, რომ რველიუტია ჩამდგარიყოს... რამდენიმე დღის წინათ ვორონეის გუბერნატორს ყუმბარა ესროლეს. ეს არ არის ნიშანი დაწყნარებისა, ეს არ არის ნიშანი რუსეთის სრული დამშვიდებისა\*.

დავანებოთ თავი იმ ათასჯერ აღნიშნულ ფაქტებს,

\*) ზემოხსენებული დებულებანი.

რომ დაუწყწარებლობისა და რევილიუციის მიზეზი იყო სწორეთ ძველი რეჟიმი, სწორეთ რევოლუციებისა და კონსტიტუციის რეჟიმობა. დავანებთ თავი იმასაც, რომ უფრო მეტი სიწყწარე და დამოშანება, რაც არსებობს დღეს რუსეთში ძნელთ წარმოსადგენია საქაოსი; ყოველ შემთხვევაში, ძნელთ წარმოსადგენია იმ დრომდე, ვინემ არსებობს კაპიტალისტური საზოგადოება; რადგან ასეთ საზოგადოებაში არ შეიძლება მარავალ მილიონ ხალხს არ გამოეტიოს თითო-ოროლა, წუთი-სოფლისაგან გამწარებულ-შერყეული ადამიანი, რომელიც ყუშპარის გახეთქისა ან მოერიდება; ასეთი შემთხვევები დღეს ხდება იესთ კონსტიტუციონურ ქვეყნებშიაც, როგორც არის იტალია, საფრანგეთი, ამერიკა და სხ.; და თუნდ ასეთი გამოვილინენ კიდელ, არ შეიძლება არ გამოჩნდეს ბატონისაგან მოსყიდული, ვინემ პრავაკატორი.

დავანებთ ყველა ამას თავი და ვითხოთ: როგორია მთავრობის ყოველდღიური მოქმედება და მისი განწყობილება ადგილობრივ ადმინისტრატორებთან?

დებუტატებმა იმავე სხდომაზე მრავალი მაგალითებით დაასურათეს, თუ ეს უქანასკნელი როგორც მართავენ და განაგებენ თავიანთ საბრძანებელთ. სხვათა შორის დღებ. პეტერბურგმა, სხვა მრავალთა შორის დასახელდა „მთავრობის წარმომადგენელი პირი, რომელიც, იმ დროს, როცა იგი იყო აღქურვილი ძალა-უფლებით და პირდაპირი წარმომადგენელი ხელშეწივე იმპერატორისა, ოფიციალურ კრებაზე წარმოსთქვა შემდეგი ისტორიული ფრაზა: „ჩვენ ყველანი, ბატონოებო, გულში დიდთ მოხარულინი ვართ „მოღვრობებისა“ (ხალხის აკლემბა-აწიოკებისა), მაგრამ ამაზე, რასაკვირველია, ჩვენ ნება არ უნდ დავთრობთ“. ეს ფრაზა წარმოსთქვა ბარონ კაულბარსმა. მე თქვენ ადგილობრივ მთავრობის პერგამენტზე—რას იტყვით ეკითხებით თანაობის იმ წარმომადგენელზე, რომელსაც შეუძლიან ოფიციალურ კრებაზე განცხადოს, რომ იგი მოხარულია, როცა მსოფრთვეთა ერთი ნაწილი ვერტაეს მეორეს?“

მინისტრის ამხანაგი მაკარკივი დებუტატებს პასუხით ეუბნება, რომ მათ მიერ დასახელებული ფაქტები არ არის სავსებით მართალი და რაც მართალი ის გამოიკალიდა იმ გენერალ-გუბერნატორებს, რომელითაც თ შენიშნავდა უქანონობას. დებუტატები სიტყვის უბრუნებენ მინისტრს და აღნიშნავენ, რომ არაჰკ თუ მთავრობა თითონ პასუხის გემაში არ აღუდდა დამნაშავე ადმინისტრატორებს, არამედ ის ამ უქანასკნელთ ესარჩლებოდა მაშინაც კი, როცა ამათ წინააღმდეგ საჩივრს დაპირებდენ უქანონოთ დასჯილინი, თვით-ნებობის მსხვერპლის კერძო პირები (მაგ. გენერალ დუშაპისა და ნოვიკოვის ავარაკის საკითხი, როცა მთავრობას რამდენიმე თასი მანეთი გალუხდა მოშიგვანთ, ოღონდ კი საქმე არ გახმარებულყო და მთავრობას ამ რიგით სახელი არ გასტყობდა) მთავრობამ დამნაშავე გენერალ-გუბერნატორი მხოლოთ ერთი ადგილიდან მეორე ადგილი-

ზე გადაჰყავდა ანუ ზედმეტათ წარჩინებულ ჯილდოსაც აძლევდა. ასე მაგ.—ამბობს დღე. მაკლაკოვი—ტამბოვის გუბერნატორის მურატოვის ერთი უქანონო მოქმედება, მართალია, სამინისტრომ გააუქმა „მარამ ბ. მურატოვი მინც დღეგრძელობს და ჯილდობსაც იღებს“. ასევე „ულერგრძელობენ“ გენ. ლუშმაქე, გენ. გერშელმანი და სხვა და სხ

ყველა ამის შემდეგ ცხადია მთელი მნიშვნელობა დღე. პეტერბურგის შემდეგი შემახილისა: „განა დუშმაქე გამონადისია? განკერძობებული პირია განა გერშელმანი? ანუ ბ. კულბარის ერთი ადამიანის სახელია? ჩემ თავს ნებას ვაძლევ შეგკითხოთ: რა ჰქვიან ამ კრებულს, ამ ქეშმარტ რუსულ დევილოვის წარმომადგენელთა—დუშმაქე, გერშელმან, კაულბარსს? მე ვფიქრობ, რომ კრებულს ანუ ჯამს ამ ცალკე პირებისა და მათთან მორატავეების, ფულონების და გორჩაკოვების, რომელთა რიცხვი ლეგიონია, ამას ჰქვიან რუსეთის საშინაო პოლიტიკა“. მინისტრის ამხანაგმა მაკარკოვი წარმოსთქვა, ვრცელი სიტყვა, რომლის შემდეგ თვით დღე. მაკლაკოვი, —თუმცა ეს უქანასკნელი თავიდან იმ აზრს იცავდა, რომ ცენტრალური მთავრობა კანონიერების მატარებელია, ხოლო ადგილობრივი მთავრობანი ცქცივანთ თვით-ნებობასაც, და რომ ამ წინააღმდეგობის მიხედვით გამოიხსნიდა ქვეყანას განასაღვლიდან,—აი თვით ეს მაკლაკოვი დაბოლოს იძულებული გახდა დაესტყვა: „რაკი ცენტრალური მთავრობა თავის თავზე იღებს პასუხის მგებლობას, ამგვარ განცხადების შემდეგ იმათ ვინც იღებ-პარაკა გენერალ დუშმაქის ბორტ-მოქმედებაზე, უნდა აღიარონ, რომ პასუხის მგებელია არა ადგილობრივი უფროსი, არამედ ცენტრალური მთავრობა.“<sup>1)</sup>

მთავრობა რომ ვერ ვგებავთ კონსტიტუციის აზრს და მთელი მისი ფიქრი და ზრახვა ძველი რეჟიმისკენ არის მიქცეული, ამას კარგათ სცნობს აგრეთვე მინისტრების მთელი ქცევა და სიტყვა-პასუხი სახ. დუშმაქე. ეს გამოსტყვივის თითი ისეთი წიკრომანგებში, როგორც არის მაგ. მინისტრების მიმართვა დებუტატებისადმი. იგინი ამათ „ხალხის წარმომადგენელთა“ კი არ იხსენებენ, არამედ მხოლოთ ამა თუ იმ გუბერნიის წარმომადგენელთაზე“ (იხ. მაგ. მინისტრის მაკარკოვის შემოხმებული სიტყვა) მაგრამ მთავრობის ნამდვილ სულის კვეთებას უფრო აშკარათ და საბოლოოთ ფარდა ხსავდა ფინანსთა მინისტრი კოკოცკევის იშვიათმა გულურყელობამ, როცა მან ამას უქნათ დუშმაქე შესცხა: „ამდლოდა ლმერთს

<sup>1)</sup> იხ. 2 მისის ლემის ტენფორ. ანგარიშები.

<sup>2)</sup> თვით ოქტომბრისტებშიაც არ გამოჩნდა ისეთი გულურყევილი, რომ დავებრუნებინა, ვითომ მას მინისტრს ეს სიტყვა უნებურათ წამოსტყვივდა, ვითომ მას სდომებოდა ეს ეთქვა „პარლამენტარობში“ და არა „პარლამენტი“—ორი სრულიად სხვა-და-სხვს იურიდიული ცნებაა. პარლამენტი ეწოდება წარმომადგენელთა ყოველ კრებას, რომელიც არ აღქურვილია საკანონმდებლო უწყებით; პარლამენტარობი კი ნიშნავს მთავრობის პასუხის-მგებლობას პარლამენტის წინაშე, კოკოცკევის რომ მხოლოთ ამ უქანასკნელის შეჩვენება სდომებოდა, ის უმეცველია სიტყვის დასწორებლად.

რუსეთში პარლამენტი არ არისო!..<sup>3)</sup> ასეთია სულსი კეთება რუსეთის როგორც „ხილულ“, ისე „უხილაე“ მთავრობისა.

როდესაც განმთავისუფლებელი ტალღები საქაოთ მრისხნე შექმნა ძველი რეჟიმისათვის და აშკარა გახდა, რუსეთში იწყებოდა ახალი ეპოქა, ჩვენ გვხსოვს გამოცეა უმაღლესი უქაზი (12 დეკემბერს 1904 წ.), სადაც აღიარებულია საქირობება სხელწიფო მართვა-გამგეობას მისცემოდა ახალი, თანამედროვე პრინციპები. მარა ვის მიენდო ამ პრინციპების გატარება? იმ მინისტრთა კაბინეტს, რომელიც მუდამ ერთგულთა იცავდა ძველი რეჟიმის ყველაზე უარეს და დუხტირ პრინციპებს. 17 ოქტომბრის შემდეგაც, როცა კონსტიტუციის მთავარი დებულებანი უმაღლესათ იქმნა აღიარებული, კონსტიტუციის განხორციელება მიწც ვეალება იმ სამინისტროს, რომელიც თვით კონსტიტუციონურ მიდრეკილებასაც კი სახელწიფო დანაშაულობათ სოვლის.

ყველა ამს დაუმატეთ ის, რომ ჩვეულებრივ უფლებების და კანონის გაუქმება (განსაკუთრებულ მდგომარეობათა შემოღება) სრულებითაც არ შედის დუმის კომპეტენციაში და რომ სამინისტრო პასუხის მეგბელი არ არის დუმის წინაშე და თქვენ გეკოდინებთ, თუ რას წარმოადგენს რუსეთში აღმასრულებელი ორგანო.

რაც შეეგება სამოსამართლო ორგანოს, ამაზე სიტყვის აღარ ვაფარძელებთ; საქაოა გაისხნოთ უქანასკნელი წლების პოლიტიკური პროცესები; თქვენ უმაღვე დარწმუნდებით, რომ სასამართლოს არ მოეპოვება ნატამალი დამოუკიდებლობისა (რასაც ითხოვს კონსტიტუციონური პრინციპი), რომ იგი ემსახურება მხოლოთ პოლიტიკურ მიზნებს, ე. ი. მორჩილი იარაღია აღმასრულებელ ორგანოსი, მთავრობისა. ხოლო ამ უქანასკნელის მისწრაფება, ფიქრი და ზრახვა, მთელი მისი არსება—როგორც უკვე დავინახეთ ზევით, პირდაპირი და სრული უარყოფია იმ მიზნების, რასაც ისახავდა განმთავისუფლებელი მოძრაობა...

ონ

პირველი ტალღა.

კლდისა მწვერვალი აზნელებს არეს, დაბლა ზღვის ტალღებს არ უშინდება; არაფრად იმჩნევს გრიგალითა ქროლვას ამაყად მშენი ძირს იკტირება!.. ტკბილი ნექტარი მისთვის შხამია, გრძობა დასშული შესტრფის წყვედილას; შავი ნაპრალნი ცეცხლსა აფრქვევენ ოდეს მზე აყრის სხივსა დიდისა!..

ძლდისა გადაღმა ედემი ჰყვავის, ზამთარ და ზაფხულ ვარდი იშლება; ფერად ყვავილთა, ეშხით მიბნედილთ, მკრთალი ვარსკვლავი კით ედიმება!.. ციური ზმები სმენას ჰხიბოვან, უკვდავების ცვრებს აფრქვევს ლაფავრდი; ფრინველთა გუნდნი ტკბილად ჰგალობენ, სულს არა სზავრავს ნადევილი, დარდი!..

ტალღა მძვინვარებს... ქაფს ისვრის მალღა... გრგვინვა-ღრიალზე თრთის არე-მარე; აღსრულდა კიდეც!.. ნაპირს ეკვეთა და შიანგრია კლდეს ცალი მხარე!.. ლოდებს ქვეშ მოჰყვა პირველი ტალღა, მწარე ბოძოლაში მსხვერპლად დაეცა;



<sup>3)</sup> კონსტიტუციონურ უფლებების ერთი ძირითადი დებულებაა ის, რომ თითოეული დეპუტატი მართალია ირჩევა ხალხის ერთი ნაწილისიგან, მაგრამ წარმომადგენელია მთელი ხალხისა.

ჰველგან სიცოცხლე სურათი იაროშევსკისა.

სამგლოვიარო ხმებში მოიცივს,  
შეკრთა ზღვის გული და მაღლა ზეცა!..

..... ისევ გამეფდა მკედრული სიღრმე,  
კლდე გულზედად ტალღებს დასცქერის;  
და ბელზებელი ზღვის ნაპირიდან  
გული მქვევანსა ჰანგა დაჰმღერის!..

ლანი.

რეკორდ განჩინა აღმაინაშა ღმერთი.

ქრისტიანთა შეხედულებით ყველა მიზეზთა მიზეზი მსოფლიოში არის ღმერთი, რომელიც წარმოადგენს სამებას: მამაღმერთს, ძეს ღვთისას—იესო ქრისტეს და სულიწმინდას. ამავე დროს ქრისტიანების რწმენით სამება ერთ-სარება არის ე. ი. ღმერთი ერთსა და იმავე დროს სამიც არის და ერთიც! თუმცა არც ერთ ქრისტიანს ჯერ ვერ წარმოუდგენია და ვერც წარმოუდგენს ვერას დროს: რა ნაირათ შეიძლება, რომ ღმერთი ერთსა და იმავე დროს სამიც იყოს და ერთიც, მაგრამ აღამიანისათვის ეს მიუწოდებელია, გვერუფებენ სულიერი მამები და ქრისტიანები ამით კმაყოფილებიან. ღმერთმა განჩინა მსოფლიო, განჩინა დედამიწა არაბარბანსაგან და მანვე შექმნა აღამიანი თავისი ხატების მსგავსად. ეს პირველი აღამიანი იყო ადამი. ადამს ღმერთმა გვერდი გამოსცრა და იქიდან განჩინა ევე. მთელი კაცობრიობა წარმოსდგა ადამისა და ევისაგან. ადამ და ევა მღმერთს შესცოდეს, აკრძალული ტის ნაყოფი შესჭამეს და ამისათვის ღმერთი იმდენათ გარისხდა, რომ მთელი კაცობრიობა დასაჯეს; მაგრამ ღვთის ძემ იესო ქრისტემ თავისი ტანჯვით და ჯვარცმით იხსნა კაცობრიობა, შემდეგ ისევ ზეცას ამაღლა და მამაღმერთს მოუხრდა მარჯვნივ. ამ მოკლეთ ის საფუძველი, რომელზედაც აგებულია ქრისტიანული მსოფლიო შეხედულება.

ქრისტიანული მოძღვრებით იესო ქრისტე ქალწულს მარიამს ჩაესახა სულიწმინდის ზეგადამოსცემით. ამ მოგვითხრობს ქრისტეს დაბადების შესახებ სახარება.

არავითარი ხორციელი არ ისახება და არ იბადება ისე, თუ დედლის კვერცხს მამლის სპერმატოზოიდი არ შეუერთდა. ბუნებაში არსებობს განსახლებული წესრიგი, განსახლებული კანონები, რომლებიც უცვლელათ მოქმედებენ. ვთქვათ, თვდაპირველათ ეს წესრიგი და კანონები ღმერთმა დააწესა, მაგრამ რაკ ერთხელვე დააწესა, მათი წყევლა და შეჩერება არავითარ ძალას, არავითარ ღმერთს აღარ შეუძლია,—ამას გეგმეტოცებს ჩვენ ბუნების ყოველდღიური შესწავლა. ბუნების კანონები ქაღალდზე დაწერილ კანონებს კი არ წარმოადგენენ რუსეთის კონსტიტუციასავით, რომ სამთა დამწერმა მაშინ წაიღოს უკან და გააუქმოს, როცა ეს მას მოესურ-

ვება,—არა,—ეს კანონები თვით ნივთიერებაშია შედლებული და მსოფლიოს ძირითად კუთვნილებას შეადგენს. ის ეს კანონები გეგმეტოცებენ, რომ აღამიანი ისახება მაშინ, როცა დედის კვერცხს-უჯერდეს შეუერთდება მამის უჯრედი—სპერმატოზოიდი.

ვთქვათ, ქრისტე არის მართლა ძე ღვთისა. მაგრამ რაკი მან ხორცი შეისხა, იმას სწორეთ ისე უნდა შეესხა ხორცი, როგორც საზოგადოთ ყოველი აღამიანი ისხავს ხორცს; რაკი მან მოინდომა აღამიანათ დაბადება, რომ კაცობრიობის ცოდვა გამოესყიდა, ის უნდა განენილიყო აღამიანათ სწორეთ ისე, როგორც ყოველი ჩვენგანი ნდებდა რაკი უზენაესი სამართლიანობის დამკვიყოფილებლათ იესო ქრისტე უნდა დატანჯულიყო კაცობრიობის გამოსახსნელათ და უნდა დატანჯულიყო, როგორც აღამიანი, უსათოთა უნდა ჩასახულიყო სწორეთ ისე, როგორც ყოველი აღამიანი ისახება. წინამდებელ შემთხვევაში ქრისტეს სხელი არ იქნებოდა ნამდვილი აღამიანური სხელი, მაშინ ხომ მისი ტანჯვაც არ იქნებოდა ნამდვილი აღამიანური ტანჯვა, ამიტომ არც ფასი იქნებოდა უზენაესი მოსამართლის თვალში. სხვადსხვა წყარო გეგმეტოცებს, რომ ეს აქეც მოხდა ნამდვილათ. მოკიუხული მათე თავისი სახარების პირველ თავში მოგვითხრობს: „რამეთუ მითხოვილ იყო დედა მისა მარიამ იოსებოდა და ეღრე შერთამდებელ მათე იოსებო იგი მიღგომილ სულისაგან წმინდისა. ხოლო იოსებ ქმარი მისი მართალი იყო და არა უნდა განმეილებო მისი, იზრახა ფარულათ განტყუება მისი“. მაგრამ იოსებს ანგელოზი გამოეცა და დააბრწყუნა: რამეთუ რომელი იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმინდისა არსო. სახარების ეს ალაგი ცხადთ ამტკიცებს, რომ იოსები არ იყო ქრისტეს მამა.

ბევრმა მორწმუნემ ისიც კი ეცი, რომ ნამდვილათ სახარება ოხიხი კი არ არის, არემედ ორმოცდა-ათამდე, მაგრამ წმინდა მამებმა მხოლოთ ოხიხი იცნეს ნამდვილ სახარებათ და დანაჩენი ყალბებათ. ერთ-ერთი ამ დაწუხებულ სახარებათაგანი მოგვითხრობს შემდეგას: იუდას ქვეყანაში იდგა კლაპარის ლეგიონი, რომლის კაპიტანიც იყო რომაელი იოსებ პანდრა; მან შეეცდინა ურის ქალიშვილი ბეთლემელი მირიამი, რომელსაც ეყოლა ვაჟი იესო<sup>ა</sup>. ეს ალაგი ნათლხა ჰვენს მოკიუხულ მათეს სიტყვებსაც, თუმცა ამ ერთი ცნობის მიხედვით ძნელი სათქმელია, მართლა რომელი კაპიტანი იყო ქრისტეს მამა თუ არა, ხოლო სული წმინდა რომ აქ არაფერს შეუაზი იყო, ეს ცხადზედ უცხადისა. ექვს გარემუა, ნამდვილი ცნობები იესო ქრისტეს მამის შესახებ ბევრი იქნებოდა, მაგრამ თუკი ისეთი ეფესოპოზი იყო აღმესაზრდიაში მეოთხე საუკუნეში, რომელმაც ქრისტეს სახელით უმესანიშნავესი წიგნთ-საკაცი დასწვა, განა ისეთები კი ცოტა იქნებოდენ, რომლებიც ყოველგვარ ნამდვილ ცნობებს მოსპობდენ იესო ქრისტეს დაბადების შესახებ!!

\* Геккель Мировья загадки 1906 г. стр. 172.

ასეა თუ ისე, იესო ქრისტეს დედაცა ჰყავდა და მამაც. ქრისტეს დებიცა ჰყავდა და ძმებიც. იესოს ბიოგრაფიის ჩვენ აქ არ შევხებით, საჭიროა მხოლოდ მისი მოძღვრების გათვალისწინება. ამ გათვალისწინებით მკითხველი დარწმუნდება, რომ ქრისტესთან მხოლოდ სახელს ატარებს ქრისტესას; არსებით კი ის არის ნამდვილი ფარისევლის სარწმუნოება, რასაც ასე სდევნიდა ქრისტე. დღევანდელი საქრისტიანო სამღვდლოება ქრისტეს მიმდევარი კი არ არის, არამედ ფარისევლების, რომელთა წინააღმდეგ თავიდანვე მიმართული იყო ქრისტეს მოძღვრება. მაგრამ მის ინიციატორებს ურიგობის ფარისევლები. ს. ქრისტეანოს ფარისევლებმა ქრისტეს მოძღვრება თავის გემოვნებაზე გადააკეთეს; საბრალო ხალხი კი დარწმუნებულთა: სამღვდლოების პირით თავი ქრისტეს ღვაძლად რაიკობს. ქრისტე რომ ეხლა მოვედომის ქვეყანას, ყველაზე უმალ მისი სახელის მტარებელი სამღვდლოება ამხედრდება იმის წინააღმდეგ.

ქრისტე დაიბადა და აღიზარდა ღარიბ ოჯახში. ბუნებამ მას მისცა არაჩვეულებრივი ნიჭი, ძლიერი გარნობა, ყოვლათ პატიოსანი გული, რბილი, წყნარი, მშვიდი, მასთან მტკიცე ხასიათი. სინატიარვიდანვე ისეთი კითხვები იკვდება ქრისტეს ყურადღებას, რომლებიც უმეტესობას მთელ თავისი სიცოცხლეში ერთხელაც არ გაუვლევებს თავში. იმის მაგიერ, რომ საქმე ეკეთებია, ქრისტე იჯდა და ოცნებობდა, ფიქრობდა, ან წიგნებს კითხულობდა, რომ თავისი სულიერი წყურველი დემკაყოფილებია; ან მამონდელ მწიგნობართ უღლებდა უფროს, საცა კი მოახერხებდა. ამის გამო დედა და მამობილი ოსები ხშირათ უწყებოდნენ ქრისტეს, რადგანაც ბავშვის ბუნება მათ სრულებით არ ესმოდათ და მას უფრო ზარმაცათ სთვლიდნენ. რაც უფრო იზრდებოდა ქრისტე, მით უფრო რთულდებოდნენ ის საჭირობოროტო კითხვები, რომლებიც მას მოსვენებას არ აძლევდნენ და მისგან პასუხს თხოვდნენ. ქრისტე ვერაინ ვერ დაემკაყოფია, ვერაინ ვერ მისცა მას პასუხი. ის თავის გულში, თავის არსებაში ეძებდა პასუხს და ოცნებობდა. ფიქრით გატაცებულს არა თუ საქმე, ხშირათ ქამაც კი ავიწყლებოდა. ხელობათ ქრისტე დურგალი იყო, მაგრამ დურგლობას მალე მიანება თავი. ის იყო უდიდესი იდეალისტი, მას სწამდა ადამიანის ბედნიერება, ამავე დროს კი თავის გარეშეშო მხოლოდ უბედურებას ჰხედავდა. ქრისტეს დროს გაგრძელებული იყო რომაელთა ბატონობა. რას წარმოადგენდა იმ დროს ხალხის ცხოვრება? მცირე ნაწილი ფეოდალებში და გარკვენილებში ატარებდა თავის დრეგებს, უმეტესი ნაწილი კი პირუტყვულ ყოფაში იყო: ზოგი მონები იყვნენ, სხვები ბოგანა და მაწანაწალები, რომლებიც ბატონების ნასუფრალთა რჩებიდნენ. ქრისტეს სამშობლოში საშინელი სიღატაკე იყო გამეფებული. ყოველდღიურ ფიქრსა და ზრუნვას ლეკვა პურის შოპობისა და გაძლიძობისათვის შთანთქმული ჰქონდა უმარავდესობის მთელი არსება და მთელი დრო, მაშინ როდესაც უტკირესობა თავზე სსყ-

რელი ჰქონდა ყოველისფერი. პირველთ სიღატაკისა გამო, მცირე თუ ფუფუნებისა გამო სულიერი მოთხოვნილებანი ჩახშული ჰქონდათ. ეს არ იყო ნამდვილი ცხოვრება, ცხოვრება ადამიანური.

ადამიანი ქრისტეს რწმენით ღვთისაგან გაჩენილი იყო მალაღ, წმინდა, უზენაესი ბედნიერებისათვის; ის კი ცხოვრების ქვეშაირთ გზას გადადევნილი იყო. მღვდელთ მსახურნი, რომელთა პირდაპირი მოველეთა იყო ხალხისათვის ცხოვრების ქვეშაირთ გზის ჩვენება, მხოლოდ სარწმუნოების გარეგან ფორმას ასრულებდნენ და იცადენ, თვით სული და გული სარწმუნოებისა კი არც მათ და არც სხვებს არ ესმოდათ. ბუნებით ქრისტე იყო უზომოთ კეთილი, სიყვარულით აღსავსე; ყოველ ადამიანში ის ჰხედავდა თავის ძმას და დას, ამიტომ მას ყველა უყვარდა. ქვეყნის ვარამმა დისადატურა იმის არსებაში, ხალხის უბედურებამ დასველიანა იმისი გული, ქვეყნის ტანჯვა სტანჯავდა მას. დიდხანს ჰფიქრობდა და ბევრს ჰფიქრობდა ქრისტე, თავისთავს ებძოდა და ბოლოს გადასწყვეტა: ქვეყნისთვის შეეწირა თვისი სიცოცხლე და ხალხი გამოეყენა ბედნიერების გზაზე. საქმე იმაში იყო, როგორ და რა გზით შეიძლებოდა ხალხის გაბედნიერება? ქრისტეს უშვილი და წყნარი ხასიათი, სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე გული ვერ ურიგებოდა ვერავითარ ძალმოშრომებას; მას სწამდა, რომ ძალით არავითარი ბედნიერების დამყარება არ შეიძლებოდა, —ბედნიერებას ჰშობავს მხოლოდ სიკეთე და სიყვარული, რომელთა გარეშეც ქრისტეს არაფერი არა სწამდა კაცთა შორის ურთიერთობაში. ქრისტეს სიკეთე და სიყვარული კი უსამზღვრო იყო; ადამიანისადმი სიყვარულის გულისათვის თავის განწირვასაც კი თხოვდა. ამგვართ ძალით გარდაქმნა ცხოვრებისა ქრისტემ არა თუ უარჰყო, მან გამოაცხადა: ბოროტებას ძალით ნუ ეწინააღმდეგებთ, ბოროტისათვის სიკეთით მიუგეთო. რადგანაც ადამიანის ბუნების ძირითად თვისებათ მას მიანიჩნდა სიყვარული და სიკეთე, ამიტომ დარწმუნებულნი იყო, რომ მხოლოდ კაცობრიობის ზნეობრივთ გარდაქმნით მიადგვდა ის თავის მიზანს. ზნეობრივთ გარდაქმნისათვის საჭირო იყო მტკიცე საფუძველი; ამგვარი საფუძველი ქრისტემ ნახა ღმერთში. ქრისტე იყო ღრმით მორწმუნე ადამიანი. მას სწამდა, რომ სიკეთე კეთილი და მოყვარული ღმერთი, როცა ადამიანს აჩენდა, მისი სიყვარული იყო ადამიანის ბედნიერება; ბედნიერება კი შედეგია სიცივისა და სიყვარულისა. მაშასადამე ღვთის ნებაა, რომ ადამიანებმა ერთმანეთი შეიყვარონ და ერთმანეთში მხოლოდ სიკეთე სთქონონ. თუ ბედნიერება ქვეყნათ არ არის, იმიტომ რომ ადამიანებს ღვთის ნებას არ ასრულებენ, მათ ღვთის ნება დაივიწყეს და ბოროტის მონა გახდნენ. აქედან თავის თავთ ცხადია, რომ ქრისტეს რწმენით საჭირო იყო ქადაგება, ხალხისათვის თვალის ახლება; საჭირო იყო, ხალხს შეეწინა, რომ ღმერთი სიყვარულს ავალებს ადამიანებს, სიყვარულს ერთმანეთისადმი. საჭირო იყო, ხალხს ეცნო, გაეგო, რომ ამას

ითხოვდა ღვთის ნება და ღვთის ნების ასრულებით, სიყვარულისა და სიკეთის კავშირის შეყვრით ერთმანერთ-შორის მოსიპობოდა არსებული უბედურება და დამყარდებოდა ის ბედნიერება, რომლისთვისაც ღმერთმა კაცობრიობა გააჩინა.

ამგვარად ქრისტეს ქადაგება ლოლიკურათ შეკავშირებულია მამადღმერთის არსებობასთან; ვინც ამ უკანასკნელს ირწმუნება, მან უნდა მიიღოს ქრისტეს მოძღვრების ყოველი სიტყვა. ღვთის არსებობა კი ქრისტესათვის აქივობა არის, ე. ი. ისეთი ცხადი ქეშმარტება, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს.

ქრისტეს მთელი ქადაგება აზნებულთა სიყვარულზე, მთელი მისი სარწმუნოება არის სარწმუნოება სიყვარულისა; მთელს იმის მოქმედებაში გამოსჭვივის ღრმარწმუნა ადამიანის ბედნიერებისა. ქრისტეს ღმერთი არ წარმოადგენს მოსეს ღმერთს—მოსისანეს, სასატის, მოსისმალს, —ქრისტეს ღმერთი მამაა ყველას, ის არის ღმერთი უსახლგრო სიყვარულისა, უზომო სიკეთისა და მიტევებისა. (შემდეგი იწყება.)

### ივ. გამართელი.

## სხვა და სხვა ამბები.

### ჩ ე ე შ ი

— ღვთისთვის დანიშნულია, „სეირნობა“ და ლატარია-აღებრა **ქ. შ. წ. კ. საზოგადოების სასარგებლოთ მუშაიდის ბაღში**. სეირნობის დროს გაიმართება სხვა და სხვა ვასართობი. ლატარიაში ჩაგდაბულია ძვირფასი ნივთები და მიწა სუბზოთაოვში. ბავშვებისათვის გაიმართება საგანგებოთ მოწოდებით პროცესია „ზამთარი და გაზაფხული“. ბაღში შესასვლელი ფსა ყველსაივის ხელმისაწვდომია. სასურველია, რაც შეიძლება მეტი საზოგადოება დაესწროს ამ სეირნობას და მით შეძლება მისთვის ამ სიმშაბიურ დაწესებულებას განაგრძოს თავისი მოღვაწეობა.

— სომხის საქველ-მოქმედო **საზოგადოებამ შესწირა 300 მან.** სამეცნიერო და საპედაგოგო კორსების მოსაწყობათ ზედულში სომეხთა მასწავლებელთათვის.

— სომხურ გაზ. „ეტაკ“ის **რედაქტორი** თბილისის გენერალ-გუბერნატორმა **დაჯარიმა 1,000 მან.**

— კავკასიის სამოსწავლო ოლქის შორეულელ **განკარგვლებით დაიკეტა** ყაზბეგის **ქართული სკოლა**. ოთხმოცამდე ქალი მოსწავლე დარჩა სკოლის გარეთ.

— 6 მაისს პეტერბურგიდან დაბრუნდა თბილისში ჩვენი მგოსანი **აკაკი წერეთელი**. როგორც გაზ. „ამ“ მითუტყია პეტერბურგში ყოფნის დროს, აკაკის დაუშობარებაში ორი ახალი პოემა; ის განაგრძობს აგრეთვე თავის „თავგადასავლის“ წერას. წელს შემოდგომამდე შესრულდება 50 წელი, რაც ა. წერეთელი საშწერლო ასპარეზზე გამოვიდა. ჯერ 12 წელი ყოფილა, როდესაც დაუწყებია პოეტიკა, 1858 წ. „ცისკრის“ შეთერთმეტ ნომერში დაბეჭდილია მისი პირველი ლექსი თარგმანი ლერმონტოვის „მტო პალესტინისა“. რო-

გორც შევიტყვეთ, ქ. შ. წ. კ. ს. გამგებამ იკოსრა ინციატივა აკაკის საიუბილეო ღღესასწაულის მზადებისათვის.

— ქალაქის გამგებამ მოსთხოვა **ტრამეის დირექციის**, რაც შეიძლება მალე გადახადოს 15,255 მან. ჯარიმა.

— ქალაქის მცხოვრებლებზე ითვლება 172977 მან. და 92 კაზ. **ნელომკები**. პოლიცმისტერმა მისწერა ბოქაულებს, მიიღონ ყოველნაირი ზომები ფულების გადასახდევინებოთ. ნაბრასებია, ვისაც შეძლება აქეს აუწერონ და გაუყიდონ ქონება.

— მეტეხის ციხეში სახადი გაჩენილა. ავთაა ოცდახუთ კაცამდე, ამოგან ერთი კაცი უმსხვევრლოა სხადს.

— ამას წინათ მეტეხის ციხის ერთ კამერაში ხერგლი აღმოაჩინეს. ეს ხერგლი დიდი ხნის გაცეთებული ყოფილა, მაგრამ აქამდე ვერ შეუქმნევიათ, უპოვით შიგ რამდენიმე დაქანგებული იარაღი.

